
ඉතින් කිරිඔස්සාවේ
වෙල්ලාක්කිට
13

1. ჩემო გოგო პატარა ---------- 3
2. გულს ვინ გამითბობს ახლა ---------- 8
3. ძალა მეგობრობისა ---------- 14
4. უშენოდ ---------- 19
5. ილოცე ციდან (რუსული) ---------- 24
6. ცოდვა ხარ ---------- 30
7. ქალო ლამაზო ---------- 36
8. ერთიც დამისხით ---------- 42
9. მიყვარხარ ძლიერ ---------- 46
10. დედას ვფიცავარ ---------- 51
11. ქრის ---------- 56
12. ერთმა გოგომ გამაგიჟა ---------- 60
13. არ წახვიდე ---------- 65
14. მომიტევეთ კაცობა რომ შემძლებია ---------- 69
15. უკრაინაში საქართველოდან ---------- 74
16. რა კარგია საფრანგეთი ---------- 79
17. გზავნილი ქართველ ებრაელებს ---------- 83
18. საყვარელო ნათია ---------- 88
19. ჩემო პაწაწინა ქალო ---------- 93
20. ცოტას მოგეფერები ---------- 98

ჩემო გოგო პატარა

(2021 ქ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Allegro tranquillo




გო გო ჩე მო პა ტა რა შენ თან მინ და უ შე ნო ბით
გა თოვ და და გაწ ვიმ და უ შე ნო ბა ძნე ლი ა და
უ შე ნო ბა არ მინ და


f
რა კარ გი ხარ რა კარ გი ხარ სა ნატ რე ლო ფე რი ა
f
შენს დევ ნა ში და ვი ლი ე ძა ლა გა მო მე ლი ა
შენს ძებ ნა ში და ვი ლი ე ძა ლა გა მო მე ლი



ვნების სიომ დაუბერა,
სად ხარ თვალებ მაყვალა,
ჩემო დიდო საფიქრალო,
გოგო ჩემო პატარა.
შენთან მინდა, უშენობით
გათოვდა და გაწვიმდა,
უშენობა ძნელია და
უშენობა არ მინდა.

მისამღერი: რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ,
სანატრელი, ფერია,
შენს დევნაში დავილიე,
ძალა გამომელია.

გული მკერდში ვერ ეტევა,
მოსვენებას არ მაძლევს,
სული შენთან მოილტვის და
ეძებს შენში სავანეს.
სიყვარულით სულ მთვრალი ვარ,
მოდი ჩემთან, სადა ხარ,
ნაბახუსევს შენ მჭირდები,
სანამ ჭკუას გადავალ.

შენგან სენი შემეყარა,
დამნაშავე შენა ხარ,
დამიჯერე სხვას ჩემზე კარგს,
ქვეყანაზე ვერ ნახავ.
შენთან მინდა, უშენობით
გათოვდა და გაწვიმდა,
უშენობა ძნელია და
უშენობა არ მინდა.

გულს ვინ გამითბობს ახლა

(2021 ქ. თბილისი)

Allegretto mosso

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის




მსურ და გქო ნო და გულ ზე თვლა ა ღარ ჰქონ და
ი ებს და ლექ სებს სიყ ვა რულ ზე
მახ სოვს ყო ვე ლი წა მი შე ნი თი თე ბის


სით ბო მას წავ ლე ცა ში ფრე ნა
mf
ფრთე ბიც შე მას ხი თით ქოს მაგ რამ გა ზაფ ხულს
mf
უც ბად ცი ვი ზამ თა რი მოჰ ყვა


გულს ვინ გა მით ბობს ახ ლა ვი ცი ნად ვე ლი
მომკ ლავს მაგ რამ გა ზაფ ხულს უც ბად
ცი ვი ზამ თა რი მოჰ ყვა გულს ვინ გა მით ბობს


ახ ლა ვი ცი ნად ვე ლი მომკ ლავს

ხშირად გჩუქნიდი მძივებს,
მსურდა გქონოდა გულზე,
თვლა აღარ ჰქონდა იებს,
და ლექსებს სიყვარულზე.
მახსოვს ყოველი წამი,
შენი თითების სითბო,
მასწავლე ცაში ფრენა,
ფრთებიც შემასხი თითქოს.

მისამღერი: მაგრამ გაზაფხულს უცბად,
ცივი ზამთარი მოჰყვა,
გულს ვინ გამითბობს ახლა,
ვიცი ნაღველი მომკლავს.

და მაინც მოველ სკვერში,
ისევ იქ, დათქმულ დროზე,
არ ჩანხარ, მხოლოდ ჩიტი,
ხტუნავს ტოტიდან ტოტზე.
თოვს, ფანტელები ცვივა,
ფიფქი მადნება შუბლზე,
ისე ვით გაქრა ახლა,
იმედი სიყვარულზე.

ძალა მეგობრობისა

(2021 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მზია გელაშვილის

Comodo, Comodamente




ორ თავ თვა ლის ჩი ნი ა მე გო ბა რი მე გობ რის თვის
ორ თავ თვა ლის ჩი ნი ა დრო მი დის და არ ჩერ დე ბა
ჯე ე ლო ბაც მიჰ ყვე ბა ჩე მი სყრ მის მე გობ რე ბი


გზა და გზა მე კარ გე ბა მებ ნე ვა და მე ფან ტე ბა
ი სე რო გორც ფან ტე ლი ვინც წა ვი და მი ა გე ბოს
ნა თე ლი და სან თე ლი ვინც წა ვი და მი ა გე ბოს


ნა თე ლი და სან თე ლი

ცხოვრებაში მეგობრობას,
დიდი ძალა ჰქონია,
მეგობარი, მეგობრისთვის,
ორთავ თვალის ჩინია.

მისამღერი: დრო მიდის და არ ჩერდება,
ჯეელობაც მიჰყვება,
ჩემი სიყრმის მეგობრები,
გზა და გზა მეკარგება.
მებნევა და მეფანტება,
ისე, როგორც ფანტელი,
ვინც წავიდა მიაგებოს,
„ნათელი და სანთელი“.

ალალ გულს და მართალ სიტყვას,
მეგობარი გიფასებს,
კაცობას და გამძლეობას,
კიდევ უფრო გიმყარებს.

ამ ცხოვრებას ვერ გავუგე,
ბედმა სად არ მატარა,
ხან მატირა, ხან მაცინა,
მეგობარი თან მახლდა.

უშენოდ

(2021 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით ქურიძის




ჩვე ნი პირ ვე ლი კოც ნა სულს ლოც ვა სა ვით
ახ სოვს სულს კი ცა ში აქვს ბუ დე
და არ ნებ დე ბა ჟამს მო დი
f
f


ფე რად სიზმ რე ბი დან მო დი მო გო ნე ბე ბი დან
მო დი სა ნამ ემ ღე რე ბა სულს
რო ცა ერ თი გა ღი მე ბაც


ათ ბობს
რო ცა ერ თი კოც ნა ათ რობს
მუ დამ ემ ღე რე ბა გულს

დროს არ სჩვევია მოცლა,
სადღაც წარსულში აქსოვს,
ჩვენი შეხვედრის წუთებს,
ალერსის ყოველ წამს.
ჩვენი პირველი კოცნა,
სულს ლოცვასავით ახსოვს,
სულს კი ცაში აქვს ბუდე
და არ ნებდება ჟამს.

მისამღერი: მოდი, ფერად სიზმრებიდან, მოდი,
მოგონებებიდან მოდი,
სანამ ემღერება სულს;
როცა, ერთი გაღიმებაც ათბობს,
როცა ერთი კოცნა ათრობს,
მუდამ ემღერება გულს.

უშენოდ მზე არ მათბობს,
უშენოდ გული მარტობს,
ითვლის უშენო წუთებს,
მისტირის ყოველ წამს.
უშენოდ ლხინშიც დარდობს,
უშენოდ სული მარტობს,
სულს კი ცაში აქვს ბუდე,
და არ ნებდება დროს...

Помолись ты с неба

(2018 г. (село Кондоли)

Музыка Зураба Чинчаладзе
Стихи Давида Куридзе

Comodo Comodamente




p
По мо лись ты сне ба что бы не гро зил ся
p
Что ус та нет и не бу дет бить ся
Сер дце прос то о ди но ко жить бо ит ся


Всем про ща ет а на ме ня злит ся
mf
Ты прос ти что влу чах сло вы не ис крил ся
mf
И бес смер тья не кос нул ся кис тью


Так бы ва ет ду рень сцарс ких рук кор мит ся
А ма эс тро ку сок хле ба снит ся
f
Ты прос ти что я как преж де рад ап ре лям
f


И сви да нье на ше толь ко снит ся
mf
Я лишь жду кок да ду ша рас пра вит кры ля
mf
И сто бо ю вне бе рас тво рит ся

Помолись ты с неба, чтобы не грозился
Что устанет и не будет биться;
Сердце, просто, одиноко жить боится,
Всем прощает, а на меня злится.
Ты прости, что в лучах славы не искрился,
И бессмертья не коснулся кистью,
Так бывает, дурень с царских рук кормится,
А маэстро кусок хлеба сниться.

Припев: Ты прости, что я, как прежде рад апрелям,
И свиданье наше только снится,
Я лишь жду, когда душа расправит крылья,
И с тобою в небе растворится.

Помолись ты с неба, чтобы не грозился,
С памяти моей стереть все, старость;
Напоследок дай любовью насладится,
Дай творить, не чувствуя усталость.
На колени упаду согнув я плечи,
И хотя и не достоин рая,
Бог простит твоим молитвам, а иначе,
Он не Бог, а рай не рай, родная.

ცოდვა ხარ

(2021 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მზია გელაშვილის

Con moto




ცოდ ვა ხარ თუ სიბრ ძნე არ გყოფ ნის თუ გყოფ ნის მა ში ნაც
ცოდ ვა ხარ რას ი ზამ რა გზას და ად გე ბი
აღ მართს ხომ დაღ მარ თი მოჰ ყვე ბა გზა ჯვა რე დინ ზე გასვ


ლი სას კი მთვა რეს ხომ მზე შე ე ნაცვ ლე ბა
დრო გა ვა შენ არ და გიც დის არ გკით ხავს სად ხარ ან
ვის თან ხარ ცოდ ვა ხარ თუ არ ვინ არ გიყ ვარს


თუ გიყ ვარს მა ში ნაც ცოდ ვა ხარ ცხოვ რე ბა შო რეთ ში
გაგ რი ყავს და გეყყ ვის ვი ნა ხარ შენ
f
ცოდ ვა ხარ გიყ ვარს თუ არ გიყ ვარს გზა ხსი სა ვერ ვპო ვე
f


მე ცოდ ვა ხარ გიყ ვარს თუ არ გიყ ვარს
გზა ხსნი სა ვერ ვპო ვე მე გზა ხსნი სა ვერ ვპო ვე მე
rit.
rit.
rit.

ცხოვრება შორეთში გაგრიყავს,
და გეტყვის: არ გიცნობ! ვინა ხარ?
ცოდვა ხარ თუ სიბრძნე არ გყოფნის,
თუ გყოფნის მაშინაც ცოდვა ხარ.
რას იზამ? რა გზას დაადგები?
აღმართს ხომ დაღმართი მოჰყება,
გზაჯვარედინზე გასვლისას კი,
მთვარეს ხომ მზე შეენაცვლება.

მისამღერი: დრო გავა, შენ აღარ დაგიცდის,
არ გკითხავს: სად ხარ, ან ვისთან ხარ,
ცოდვა ხარ თუ არვინ არ გიყვარს,
თუ გიყვარს მაშინაც ცოდვა ხარ.
ცხოვრება შორეთში გაგრიყავს
და გეტყვის: ვინა ხარ შენ?!
ცოდვა ხარ გიყვარს, თუ არ გიყვარს,
გზა ხსნისა ვერ ვპოვე მე.

გმინავს ეს წუთისოფელი,
დროც თავის ნებაზე გვაბრუნებს,
ღმერთო ნუ განგვირისხდები,
ღმერთო შეგვინდე, დაგვლოცე.
რთულია ცხოვრების კანონი,
რა გინდა, შენ არ გეკითხება,
არა გაქვს უფლება დაღლისა,
რადგანაც არ დაგელოდება.

ქალო ლამაზო

(2021 წ. თბილისი)

Andante con moto

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით ქურიძის




ქა ლო ლა მა ზო ვარ დე ბის ნაცვ ლად
შეკ რულ წარ ბებს რა ტომ მთა ვა ზობ
რად ა დარ მოგ წონს ჩე მი ჭა და რა


კოც ნა ა ლერ სით მათ რობ დი მუ დამ ახ ლა ა და
რა კოც ნა ა ლერ სით მათ რობ დი მუ დამ
ახ ლა ა და რა წარ მა ვა ლი ა


ეშ ხით დი დე ბა ღრუბ ლებ ში ა სულს
დათ მო ბა ტახ ტის გა გი ჭირ დე ბა
ვარ დე ბის ბა ღებს გა ძარც ვავს ქა რი ყინ ვა და აზ


რობს გა გახ სენ დე ბა ა ლერ სი ჩვე ნი მაგ რამ რა და
დროს მო გე ლან დე ბი მო გე ნატ რე ბი მაგ რამ რა და
დროს

რატომ გოროზობ, ქალო ლამაზო?
ვარდების ნაცვლად, შეკრულ წარბებს,
რატომ მთავაზობ.
რად აღარ მოგწონს, ჩემი ჭაღარა,
კოცნა-ალერსით მათრობდი მუდამ,
ახლა აღარა.

მისამღერი: წარმავალია ეშხით დიდება,
ღრუბლებში ასულს დათმობა ტახტის გაგიჭირდება,
ვარდების ბაღებს გაძარცვავს ქარი, ყინვა დააზრობს.
გაგახსენდება ალერსი ჩვენი, მაგრამ რაღადროს,
მოგელანდები, მოგენატრები, მაგრამ რაღადროს.

ქალო ლამაზო, მზეთუნახავო,
რად მემუქრები შენზე ჯეელს,
მალე ვნახავო.
ბებერი ხარის რქები ისევ ხნავს
და ძველ სიყვარულს ლამაზო ქალო
გულში ინახავს.

ერთიც დამისხით

(2021 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Andante mosso




ა სე მე ჩემს ნე ბა ზე კუ ზი ა ნის გას წო რე ბა
ა რა სო დეს იქ ნე ბა არც რჩე ვა არც სიბ რა ლუ ლი
თქვე ნი მე არ მჭირ დე ბა ვარ ყვე ლა ზე ბედ ნი ე რი


ნუ დარ განმ სჯით ჩემ ჩუ მად ამ ქვე ყა ნას სად ჭკუ ა ზე
f
ჩემ მა მტერ მა უ ყუ რა ეს ცხოვ რე ბა სულ ქე იფ ში
f
ძმე ბო მინ და გავ ლი ო უ დვი ნო ბა მე ა რა მწამს
დვი ნო უნ და დავ ლი ო

ლოთი ვარ და არცა ვმალავ,
ალბათ თუ ვარ წერაზე,
გთხოვთ შემინდოთ და მიმიშვათ,
ასე მე ჩემს ნებაზე.
კუზიანის გასწორება
არასოდეს იქნება,
არც რჩევა, არც სიბრალული
თქვენი მე არ მჭირდება.
ვარ ყველაზე ბედნიერი,
ნუღარ განსმჯით ჩუმჩუმად
ამ ქვეყანას საღ ჭკუაზე
ჩემმა მტერმა უყურა

მისამღერი: ეს ცხოვრება სულ ქეიფში
ძმებო მინდა გავლიო,
უღვინობა მე არა მწამს,
ღვინო უნდა დავლიო.

უღვინოდ მზეც მიბნელდება,
მთვარეც ვერ მცნობს ცხრათვალა,
ჩამომისხით თუ ღმერთი გწამთ,
ჩამომისხით ჩქარ-ჩქარა.
იმ ქვეყანას ვის რა მიაქვს?...
კარგად უნდა გამიგოთ,
ეს ცხოვრება სანამ დროა,
ფეხქვეშ უნდა გავიგო.
და დამისხით გევედრებით,
ჩემი ჭია ვახარო,
ფულის შენახვა ცოდვაა,
რაც მაქვს უნდა დავხარჯო.

მიყვარხარ ძლიერ

(2021 წ თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის




ვა ზის ცრემ ლი ვით წმინ და ხარ ჩე მი ოც ნე ბის ქა ლი ხარ
მიყ ვარ ხარ ძლი ერ მიყ ვარ ხარ მიყ ვარ ხარ რო გორც მთის ნის ლი
mf
mf
ცი სარტ ყე ლე ბით მო სი ლი რო გორც ღრუ ბე ლი ოც ნე ბის


f
მთის ფერდ ზე წა მო წო ლი ლი მიყ ვარ ხარ რო გორც კლდის წყა რო
f
მყინ ვარ ში ორგ ზის ნა ხა დი რო გორც მზის სხივ თა ა ი სი
დი ლა ხოხ ბის ფრად ნა ხა ტი ჩემს ყო ფას ი სე უხ დე ბი


და ხარ ი სე თი მაც დუ რი ვით ა რის სუ ლის შემძ ვრე ლი
ჭი ქა ში ა ლა დას ტუ რი ვით ა რის სუ ლის შემძ ვრე ლი
ჭი ქა ში ა ლა დას ტუ რი
rit.

შენ მტევანი ხარ ვაზისა,
ვაზის ცრემლივით წმინდა ხარ,
ჩემი ოცნების ქალი ხარ,
მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ.
მიყვარხარ როგოც მთის ნისლი,
ცისარტყელებით მოსილი,
როგორც ღრუბელი ოცნების,
მთის ფერდზე წამოწოლილი.

მისამღერი: მიყვარ როგორც კლდის წყარო,
მყინვარში ორგზის ნახადი,
როგორც მზის სხივთა აისი,
დილა ხოხბისფრად ნახატი.
ჩემს ყოფას ისე უხდები,
და ხარ ისეთი მაცდური,
ვით არის სულის შემძვრელი,
ჭიქაში ალადასტური.

რადგან მიყვარხარ გულს გჩუქნი,
და მმოსავს ფიქრთა ჭინკები,
იმედი შუბლზე მკოცნის და
თვით მთვარესავით ვივსები.
შენ ნაყოფი ხარ ვაზისა,
ვაზის ცრემლივით წმინდა ხარ,
ჩემი ოცნების ქალი ხარ,
მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ.

მთაზე გადმომდგარ ჯიხვივით,
არ გამჩნია საზღვრები,
და აფრინდება ჩიტივით,
ჩემი ნდომა და ზრახვები.

დედას ვფიცავარ

(2022 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Allegretto moderato




და დღე საც შე ნით თებ დე ბა არ ვი ცი შე ნი
სუნთ ქვა ა თუ სი ო მე ა ლერ სე ბა
სა და ხარ თუ ჩა უ ვარ დი ჩე მი ხე ლე ბის


საწ ნა ხელს თვით მტე ვა ნი ვით დაგ წუ რავ
mf
რად გა ნაც ა სე მაწ ვა ლებ ღა მით ვარს კვლა ვებს
mf
და გიკ რეფ დი ლას გა ჩუ ქებ ხოხ ბის ფერს


ბო ლომ დე გი ერთ გუ ლებ დი მიყ ვარ ხარ დე და
მო მიკვ დეს ბო ლომ დე გი ერთ გუ ლებ დი
მიყ ვარ ხარ დე და მო მიკვ დეს
mp

ქარი ფანჯარას აწვალებს
და დღესაც შენით თენდება.
არ ვიცი შენი სუნთქვაა
თუ სიო მეალერსება.

სადა ხარ, თუ ჩაუვარდი
ჩემი მკლავების საწნახელს,
თვით მტევანივით დაგწურავ
რადგანაც ასე მაწვალებ.

ღამით ვარსკვლავებს დაგიკრეფ,
დილას გაჩუქებ ხოხბის ფერს,
ბოლომდე გიერთგულებდი
მიყვარხარ, დედა მომიკვდეს.

ნაზი ხარ და არ ნახული,
საოცნებო და სანდომი.
შენ მწიფე ბროწეული ხარ,
ხელებში შემოსასკდომი.

ფიქრები შემომსევია
და ვეღარ ვუძლებ ცდუნებას,
ჩემი ხარ, ვერსად წამიხვალ,
გუმანი მეჩურჩულება.

მოგელი როგორც ათინათს,
იმედის გამონათებას,
ჰო, როგორ მოგეფერები...
ვაპირებ ამის გამხელას.

ღამით ვარსკვლავებს დაგიკრეფ,
დილას გაჩუქებ ხოხბისფერს.
ბოლომდე გიერთგულებდი
გფიცავარ, დედა მომიკვდეს.

ქრის

(2022 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Allegro




mf
გა ზაფ ხუ ლის სა და მო ა და მივ ყვე ბი გზას
mf
სი ო ი სე მე ფე რე ბა რო გორც დე და ბავშვს
ქრის და ვარც ხნილ თმას მიწ ვა ლებს ტა რა ველს მიშ ლის


მე კი მკერდ ში გუ ლი მი ცემს პა ტა რა ბი ჭის
ქრის და ვარც ხნილ თმას მიწ ვა ლებს ტა რა ველს მიშ ლის
მე კი მკერდ ში გუ ლი მი ცემს პა ტა რა ბი ჭის

გაზაფხულის საღამოა
და მივყვები გზას.
სიო ისე მეფერება
როგორც დედა ბავშვს.
ქრის, დავარცხნილ თმას მიწვალებს,
ტარაველს მიშლის.
მე კი მკერდში გული მიცემს
პატარა ბიჭის.
ქარი ღრუბელს ერეკება,
ცის სურნელი მცემს,
ხან ჩიტივით გაფრენა მსურს
გეფიცებით ღმერთს.
დიაცს კაბა უფრიალებს
და ზედმეტად წუხს.
ეს მე სულაც არ მაწუხებს,
უხარია გულს.
ქარი ბაღჩის ხეხილს ძარცვავს
მაყრის ატმის მტვერს.
ყვავილნარი მიაქვს სადღაც,
სადღაც მივდევ მეც…
ქრის სასმელიც მომეკიდა,
არ ვუჯერებ თვალს.
ყველაფერი ლამაზი და
მშვენიერი ჩანს.
მოლხენილი საღამოა
და მივყვები გზას.
სიო ისე მეფერება
როგორც დედა ბავშვს.
ქარი ბაღჩის ხეხილს ძარცვავს
მაყრის ატმის მტვერს.
ყვავილნარი მიაქვს სადღაც,
სადღაც მივდევ მეც…

ერთმა გოგომ გამაგიჟა

(2022 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით გიგინეიშვილის

Allegro animato




რა გი ჟი ხარ რა მაც დუ რი
სი ლა მა ზით გა მომ წვე ვი ქა ლი
mf
ცხოვ რე ბის გზა ზე
mf


სად არ ვი ა რე
აღ მა დაღ მა მთა და ბა რი
გა და ვი ა რე
ხა ლი სი ა ნი
ხან დარ დი ა ნი
ყვე ლას მი მართ სიყ ვა რუ ლით


თა ვა ზი ა ნი
მაგ რამ ამ გულ მა
წლე ბი არ ი ცის
ამ ცხოვ რე ბას მი ვუყ ვე ბი
წინ
f

ერთმა გოგომ გამაგიჟა,
ვერ იქნა და ვერ მოვწყვიტე თვალი,
რა გიჟი ხარ, რა მაცდური,
სილამაზით გამომწვევი ქალი.

ცხოვრების გზაზე სად არ ვიარე,
აღმა-დაღმა მთა და ბარი გადავიარე,
ხალისიანი, ხან დარდიანი
ყველას მიმართ სიყვარულით თავაზიანი
მაგრამ ამ გულმა, წლები არ იცის,
ამ ცხოვრებას მივუყვები წინ.

ერთმა გოგომ გამაგიჟა,
ვერ იქნა და ვერ მოვწყვიტე თვალი,
რა გიჟი ხარ, რა მაცდური,
სილამაზით გამომწვევი ქალი.
ერთმა გოგომ გამაგიჟა,
ვერ იქნა და ვერ მოვწყვიტე თვალი,

თუ გული გულობს, თუ გამიმართლებს,
სიყვარულში დავიღლები მიზანს მივაღწევ,
ხან ქარიანი, ხარ დარიანი,
ბრუნავს მძიმედ დედამიწა თავქარიანი,
მიყვარს თვალები ლამაზმანების,
არ მიწყინოთ ვერ დაგითმობთ წილს.

ეს რა დარდი მჭირს, რა ვწნა არ ვიცი,
ჩემო გიჟო გიჟმაჟუნა კოცნას რად მიშლი
ალალი არის, რაც კარგი არის,
შენით გული გამთბარია, ამაყი არის,
ლოყაზე ხალი, როგორც მაყვალი,
ეს თვალები, გაელვება ცის.

არ წახვიდე

2022 ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის




ცად მოწყ ვე ტილ ვარს კვლავს გევ ხარ ქალ თა შო რის არ ნა
ხუ ლი შენ სა მოთ ხის ყვა ვი ლი ხარ მხო ლოდ ჩე მი და სამ
ტკვე რი არ შევმ ცდარ ვარ სწო რედ ის ხარ ქა ლი ჩე მი სა ნატ


რე ლი არ შევმ ცდარ ვარ სწო რედ ის ხარ ქა ლი ჩე მი სა ნატ
რე ლი

ჩემი საფიცარი შენ ხარ,
სიცოცხლე და გაზაფხული,
ცად მოწყვეტილ ვარსკვლავს გევხარ,
ქალთა შორის არნახული.
შენ სამოთხის ყვავილი ხარ,
მხოლოდ ჩემი დასამტვერი,
არ შევმცდარვარ სწორედ ის ხარ
ქალი ჩემი სანატრელი.
აღარ ჩანხარ, სად წახვედი,
აკი მითხარ შენი ვარო.
ნუ ეცდები თუ გწამს ღმერთი
წახვიდე და დამემალო.
სად გეძებო, ამაღამაც
მარტო დავრჩით მე და ღამე.
სიმარტოვეს მისამძიმრებს
და გკითხულობს ბადრი მთვარე.
გველოდება იმ ადგილას
ხე და ბუჩქი ჩვენ რომ ვიცით...
მათაც ახსოვთ ჩვენი კოცნა,
დადებული შენი ფიცი
ოცნებებში ცად ავმაღლდი
და გულში მღრნის რაღაც ჭია,
ხან იჭვები მმოსავს ირგვლივ,
ხან ვარსკვლავთა რია-რია.
დამტოვე, თუ სად წახვედი,
აკი მითხარ შენი ვარო.
ნუ ეცდები თუ გწამს ღმერთი
წახვიდე და დამემალო.

მომიტევეთ კაცობა რომ შემძლებია

2022 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მზია გელაშვილის

Allegro vivace




mf
სად არ ვი ყავ და სად არ ვი ა რე სიმ ღერ სიმ ღე რით მე
Pno.
mf
ქი ციც მი ნა ხავს და ქიც მა ცუ რიც ვერ შე გე ლი ეთ
Pno.
თქვენ ძნე ლი ყო ფი ლა და ვიწ ყე ბა
Pno.


ყო ველ გარ და სულ დღე თა ბავ შვო ბა შორს დარ ჩა
Pno.
კა ცი კა ცებ თან უნ და მო ვი დე ახ ლა ბაბშ ვო ბა
Pno.
შორს დარ ჩა კა ცი კა ცებ თან ეხ ლა უნ და მო ვი დე
Pno.


f
კა ცო ბა ძა ლა ა კა ცო ბა მად ლი ა ა ლა ლი გუ ლი ა
Pno.
f
უ და ლა ტო კა ცო ბა რა ა რის თუ ა რა ზნე ო ბა
Pno.
70
სი კე თის გა ცე მა უ ან გა რად
70
Pno.

სად არ ვიყავ და სად არ ვიარე,
სიმღერ-სიმღერით მე,
ქიციც მინახავს და ქიცმაცურიც,
ვერ შეგელიეთ თქვენ.
ძნელი ყოფილა დავიწყება,
ყოველ გარდასულ დღეთა,
ბავშვობა შორს დარჩა, კაცი კაცებთან,
უნდა მოვიდე ახლა.

მისამღერი: კაცობა ძალაა, კაცობა მადლია
ალალი გულია უღალატო,
კაცობა რა არის, თუ არა, ზნეობა
სიკეთის გაცემა უანგაროდ.

ამ წუთისოფლის მოკლე ბილიკზე,
რა არ მინახავს, რა,
მშერს ლუკმას რომ მოვუტეხავდი,
მწყურვალს ვაწვდიდი წყალს.
ლამაზი ქალიც შემხვედრია,
ცრემლი მოსდიოდა თვალთ,
ვნება დამიოკავს, გულში ჩამიკრავს,
მინუგეშებია თან.

უკრაინაში საქართველოდან

(2022 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Andante con moto

Voice

Piano

mf

ლურ ჯი ცა უც ბათ გა ნაც რის ფერ და

Pno.

სიკვ დი ლი მე ფობს ახ ლა ქუ ჩა ში

Pno.

©


ეს და ი სი ა და სა მარ თა ლი
ურ მით მოძ რა ობს უკ რა ი ნა
Pno.
ში
შა ვი ღრუ ბე ლი ცის კა ბა დონ ზე
Pno.
და ა თა სო ბით მზის დაბ ნე ლე ბა
Pno.


მეს მის ძა ხი ლი სუ ლის ყი ვი ლი ეს სატ კი ვა რი არ გა ნელ დე
Pno.
ბა ყველ გან ქუ ხი ლი და გან გა ში ა
Pno.
მალ მა ლე რე კენ გლო ვის ზა რე ბი
Pno.


3
3
3
გა უ საძ ლი სი სა ნა ხა ვი ა
აც რემ ლე ბუ ლი ბავშვ თა თვა ლე
Pno.
ბი
Pno.

ლურჯი ცა უცბად განაცრისფერდა,
სიკვდილი მეფობს ახლა ქუჩაში.
ეს დაისია... და სამართალი
ურმით მოძრაობს უკრაინაში.
შავი ღრუბელი ცის კაბადონზე,
და ათასობით მზის დაბნელება...
მესმის ძახილი, სულის ყივილი,
ეს სატკივარი არ განელდება.
ყველგან ქუხილი და განგაშია,
მალ-მალე რეკენ გლოვის ზარები.
გაუსაძლისი სანახავია
აცრემლებული ბავშვთა თვალები.

დამქვრივებულთა, დაობლებულთა,
ხმა-ღაღადისი ისმის ექოში.
არ მოშუშდება, თქვენი ტკივილით
გწამდეთ ჩვენც ვტირით საქართველოში.
დანგრეულია მტრობით ყოველი,
რაც კი სიყვარულს უშენებია,
განკითხვა არის ცოდვა და მადლის
სინათლის ნაცვლად ახლა ბნელია.
ლურჯი ცა უცბად განაცრისფერდა,
სიკვდილი მეფობს ახლა ქუჩაში.
ეს დაისია... და სამართალი
ურმით მოძრაობს უკრაინაში.

თუმცა მწამს, ზამთარს ზაფხული შეცვლის
და ფეხაკრეფით მოვა სიკეთე.
ხვალ... ათინათი გამონათდება,
დე გაუმარჯოს ხვალის იმედებს.
მოდის საშველიც, რწმენას ნუ წაშლით,
ძმობს ძალა აქვს ღმერთის დიდებით
ჩვენ თქვენთანავართ უკრაინაში...
აქედან გლოცავთ,შეგეხიდებით.
ლურჯი ცა უცბად განაცრისფერდა,
სიკვდილი მეფობს ახლა ქუჩაში.
ეს დაისია... და სამართალი
ურმით მოძრაობს უკრაინაში.

რა კარგია საფრანგეთი

(2022 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით გიგინეიშვილის

Allegro animato




თა ყა იშ ვილს ეს ტუმ რე ბით და ქა ქუ ცაც გა ი ხა
Pno.
რებს ჟორ და ნი აც აქ იქ ნე ბა
Pno.
დღე საც და დის მი სი ლან დი საფ რან გე თი სამ შობ ლო ა
Pno.


და მე ო რე მა თი დე და ყვე ლას გვი ნდა სი ხა რუ ლი
Pno.
ერ თო ბა და სიყ ვა რუ ლი ჩა ხუ ტე ბა დო ბა ძმო ბა
Pno.
რა კარ გი ა ეს ევ რო პა
Pno.

საფრანგეთში თუ ჩამოხვალთ
აქ სამოთხე გიღებთ კარებს,
თაყვაიშვილს ესტუმრებით
და ქაქუცაც გაიხარებს...
ჟორდანიაც აქ იქნება
დღესაც დადის მისი ლანდი
საფრანგეთი სამშობლოა
და მეორე დედა მათი.
საფრანგეთში ჩამობრძანდით,
ტკივილი და დარდი კმარა
შვების სიო დაუბერავს
ჩვენს გულების გასახარად.
ყველას გვინდა სიხარული,
ერთობა და სიყვარული,
ჩახუტება დობა-ძმობა,
რა კარგია ეს ევროპა.
აქ სუყველა ფრანგები ვართ
და სუყველა ქართველები,
გაუმარჯოს მეგობრობას,
რა კარგია ეს ევროპა.
ჩამობრძანდით აქ დაგხვდებათ
მასპინძლობა პარიზული,
მონატრებულ ქართველების
და ფრანგების თბილი გული.
დაილოცოს საფრანგეთი,
გაგახარებთ ყველას ღმერთი,
ლხინით გული მოვიჯეროთ
და ერთმანეთს მოვეფეროთ.
ყველას გვინდა სიხარული,
მოლხენა და სიყვარული,
ჩახუტება დობა-ძმობა,
რა კარგია ეს ევროპა.

გზავნილი ქართველ ებრაელებს

(2022 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის



©


ჭა პა ნის წე ვას ერთ გუ ლე ბას კა ცო ბას ძმო ბას
Pno.
ერ თად ცხოვ რე ბით ვე ზი ა რეთ ღმერ თის გან გე ბით
Pno.
f
მოგ ვე ნატ რე ბით რო ცა ჩვე ნი სისხ ლი და ხორ ცი
f
Pno.


ტკბი ლად გიმ ღე რებთ ის რა ე ლურს ჩვენ ამ ქვეყ ნი დან
Pno.
თქვენს გე ნატ რე ბათ ა ქა უ რი ყო ვე ლი ბორ ცვი
Pno.
𝄋
ვი ცი თბი ლი სოს წაგ ვიმ ღე რებთ ის რა ე ლი დან
Pno.


Pno.
Pno.

სამიათასი წელი ითვლის ჩვენს მეგობრობას,
სამიათასი დაღვენთილი წმინდა სანთელი.
ჭაპანის წევას, ერთგულებას, კაცობას, ძმობას,
ერთად ცხოვრებით ვეზიარეთ, ღმერთის განგებით.
ცხრა მთას წასულებს დაგადევნეთ სულის ყივილი,
და სიყვარული წამოსული ჩვენი გენიდან.
მხოლოდ თქვენა ხართ ერთადერთი ვინც დააფასა,
ძუძუ ნაწოვი ჩვენი ქვეყნის მსუყე მკერდიდან.

მისამღერი: მოგვენატრებით, როცა ჩვენი სისხლი და ხორცი,
ტკბილად გიმღერებთ ისრაელურს ჩვენ ამ ქვეყნიდან.
თქვენც გენატრებათ აქაური ყოველი ბორცვი,
ვიცი „თბილისოს“ წაგვიმღერებთ ისრაელიდან.

მაშ გაუმარჯოს მიწას ქართულს პეშვით წაღებულს,
ისრაელში გადებულ ხიდს საქართველოდან.
იმ წმინდა ადგილს ებრაელურს, ტანჯულს, წამებულს,
გვფარავდეს მარად ღმერთი ჩვენი ყველას ზემოდან.
ცხრა მთას წასულებს დაგადევნეთ სულის ყივილი,
და სიყვარული წამოსული ჩვენი გენიდან.
მხოლოდ თქვენა ხართ ერთადერთი ვინც დააფასა,
ძუძუ ნაწოვი ჩვენი ქვეყნის მსუყე მკერდიდან.

საყვარელო ნათია

(თბილისი 2021 წ.)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გვენცაძის

Andante maestoso




რა ლა მა ზი ა ი სი ა
რა ლა მა ზი დღე ა რის
Pno.
ცი დან მად ლი გად მო ვი და
შე ნი თა ვი მა ჩუ ქა
Pno.
ა რა ფე რი მე სხვა მე ტი
ა რა ფე რი არ მსურ და
Pno.


ა რა ფე რი მე სხვა მე ტი
ა რა ფე რი არ მსურ და
Pno.
mf
ნა თი ა ჩე მო ნა თი ა
ყველ გან გე ძებ ნა თი ა
mf
Pno.
ყველ გან გე ძებ ყველ გან გე ძებ
ყველ გან გე ძებ ნა თი ა
Pno.


𝄋
ნა თი ა ჩე მო ნა თი ა
ყველ გან გე ძებ ნა თი ა
Pno.
Fine
rit.
ნა თი ა ჩე მო ნა თი ა
ყველ გან გე ძებ ყველ გან
rit.
rit.
p
Pno.

მზემ ღრუბლები გადიყარა,
და ნანატრ დღეს შევხარი,
რა ლამაზი აისია,
რა ლამაზი დღე არის.
ციდან მადლი გადმოვიდა,
შენი თავი მაჩუქა,
არაფერი მე სხვა მეტი,
არაფერი არ მსურდა.
ჩემი სხეულის ნეკნი ხარ,
ჩემი სულის ნაწილი,
სალოცავი ჩემი წმინდა,
გლოცავ ხელებ აწვდილი.
შენთან მინდა, მხოლოდ შენთან
სხვა სიკეთე არ მინდა,
არაფერი უფრო მეტი,
არაფერი არ მინდა.

მისამღერი: ნათია, ჩემო ნათია,
ყველგან გეძებ ნათია,
ყველგან გეძებ, ყველგან გეძებ,
ყველგან გეძებ ნათია,

მიხარია, რომ არსებობ,
მხოლოდ ჩემი, ჩემი ხარ,
გენაცვალე შენ, ნათია,
ხატიც ხარ, ღმერთიც ხარ.
შემოგევლე, შემოგევლე,
შენ ყვავილო სამოთხის,
ახლაც შენით მზე და მთვარე,
სიყვარულით ამოდის.
სავსე მთვარისა დარი ხარ,
ჩემი პურის ბეღელი,
ტკივილი და სიხარული,
ჩემი სულის შემძვრელი.
როცა ჩემთან აღარა ხარ,
დღეს ნათელი აკლია,
შენთან რომ ვარ მაინც გეძებ,
მაინც გეძებ ნათია.

ჩემო პაწაწინა ქალო

(2022 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Con moto




ოთხ გზის ვარდს ვთე სავ და სამ წუ ხა როდ
Pno.
ა რა ფე რი არ გა მო დის ჩე მო მუ ზავ აღ მაფ
Pno.
რე ნის ჩე მი ყო ფის სა პოვ ნე ლავ
Pno.


რად მაწ ვა ლებ შენ თან მო დის გზა და კვა ლი ჩე მი
Pno.
ცხე ლა გუ ლი ჩე მი შენ გე კუთვ ნის
mf
mf
Pno.
სუ ლი ჩე მი გრძნო ბა წმინ და ვე რა ფე რი
Pno.


ჩვენ ვერ გაგვ ყოფს
გხე დავ ყვე ლა კედ ლის მით მა
Pno.

შენში ვერგზის შემოვედი,
დამიკიდე გული ოთხგზის,
ვარდს ვთესავ და სამწუხაროდ,
არაფერი არ გამოდის.

ჩემო მუზავ აღმაფრენის,
ჩემი ყოფის საპოვნელავ,
რად მაწვალებ, შენთან მოდის
გზა და კვალი ჩემი ყველა.

გული ჩემი შენ გეკუთვნის,
სული ჩემი, გრძნობა წმინდა,
ვერაფერი ჩვენ ვერ გაგვყოფს,
გხედავ ყველა კედლის მიღმა.

იქნებ ეშმაკს გამოეხსნა,
შემიგრძნო და გამახარო,
ჩემო დიდო სიყვარულო,
ჩემო პაწაწინა ქალო.

შენ ვარდი ხარ ეკლიანი,
ბროლის წვეთით შემკობილი,
ხელს რატომ მკრავ, მეკითხება
გული დარდით შეპყრობილი.

დღეს ნათელი დაეკარგა,
სიოც დაჰქრის თითქოს მწუხრის,
ვაებას ვგრძნობ დღეთა კვდომის
და დაისის... მიმქრალ შუქის.

შენთვის მსურდა მე საჩუქრად,
ამერი და იმიერი.
შენ სიცოცხლეს მართმევ მაგრამ
ესეც იყოს ახლა შენი.

ვერ გავაღე შენი კარი,
დამიკოდე გული ოთხგზის,
ვარდს ვთესავ და სამწუხაროდ
ვარდის ნაცვლად ხე... ამოდის.

ცოტას მოგეფერები

(2022 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Allegro molto




ან ქვეყ ნის ა მომგ დე ბი ხარ ან წმინ და თა წმინ და ხარ
Pno.
ქმნი ლე ბა ხარ არ ნა ხუ ლი ჩა მოქ ნი ლი სან თე ლი
Pno.
დღემ დე ვე რა მო გი ხერ ხე ვერ გით ხა რი სათქ მე ლი
Pno.


ნუ გამ კიც ხავ ვნე ბით შემ რულს ჩემს მკურ ნა ლად მე გულ ვი
Pno.
ჟი ნი ჩე მი ა ღარ დაცხ რა და ვარ გა და რე უ ლი
Pno.
f
უ ფალს შევთ ხოვ მო დი ჩემ თან აწვ დი ლი მაქვს ხე ლე
Pno.
f


ბი
იქ ნებ შენც კი
მო გე წო ნო
ცო ტას მო გე ფე რე
Pno.
ბი
Pno.



რახანია გულში ჩამწვდი,
მაინც მითხარ ვინა ხარ.
ან ქვეყნის ამომგდები ხარ,
ან წმიდათა წმიდა ხარ.
ქმნილება ხარ არნახული,
ჩამოქნილი სანთელი.
დღემდე ვერა მოგიხერხე,
ვერ გითხარი სათქმელი.
ნუ გამკიცხავ ვნებით შეძრულს,
ჩემს მკურნალად მეგულვი.
ჟინი ჩემი აღარ დაცხრა,
და ვარ გადარეული.
უფალს შევთხოვ, მოდი ჩემთან,
აწვდილი მაქვს ხელები.
იქნებ შენც კი მოგეწონო,
ცოტას მოგეფერები.
მანდილივით მოგეხვევი,
საოცნებო, სანატრელს,
რა ვქნა რომ ასე უნდიხარ
ჩემს გულს მიწა დასაყრელს.
შემინდე და ნუ გამწირავ,
არ გეგონო შეშლილი.
ტუჩები გაქვს დასაკოცნი,
ისე გაქვს დაბერილი.
მკერდი მშვიდობის მტრედს გიგავს
წელი გიგავს გიტარას,
ამნაირი გეფიცები
არაფერი მინახავს.
გული მიწუხს, გთხოვ ნუ მომკლავ
ჩემო გიშრის თვალება,
რატომ გინდა შენი ხიბლით
ჩემი დასამარება.
ცდუნებებით დავილიე,
მოდი შენთან ყოფნა მსურს,
ვგავარ მიმქრალ ახალ მთვარეს
ღამეში მიტოვებულს.
სულ ცოტახანს დარჩი ჩემთან
რადგან ვეღარ გელევი,
ბეჩავს სევდა მომერია
ცოტას მოგეფერები.